

რედაქცია: სოლოლაკზ ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში, ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи, ВЪ редакціи газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორჯაბათს გარდა

ფასი განსაზღვრის: დროებაზე ებით ასრუც—1 კაპი, მთელი წლისათვის სტრუქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკროთი—1 კაპ., პატარათი—1/2 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკროს დასაბედად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ვერაზს არ დაუბრუნდება.

ზიკჰმის დღესასწაულის გამო, ხვალ შაბათს ვთავაზობალს გაზეთი მერ გამოვა.

ამ 1879 წელს გაზეთი „დროება“

გამოვა მულამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

მთელის წლისა — 8 მან.
სექსის თვისა — 5 მან.
სამის თვისა — 3 „
ერთის თვისა — 1 „

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

შული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

კეტიბურლი, 31 იანვარს. „მმართველობის მოაზრებში“ დაბეჭდილია, რომ გაზეთს „ბოლოსში“ მოყვანილი ამბავი, ვითომც მეტლიანკაში ზოგიერთს სახლებში და ეზოებში ქაჯით მომკვდარი ხალხი ღებება, ეს ამბავი ტყვილია. ქალმკვების სოფლებში ავთამყოფები არ არიან.

საქართველო

დღიური

* * ჩვენ შევიტყუეთ, რომ ასეთის ვაი. ვაგლახით ამორჩეული ჩვენი ქალაქის თავი უფ. ანტ. სოლ. შორლანოვი უარს ამბობს ამ თანამდებობის მიღებაზე და ამბობენ, იმის მეგობრებს მოუყვიდა იმისაგან (უფ. შორლანოვი ამ ქაქად შიზ-ლოკშია) დებეშა, რომელშიაც გარდაწყვეტილ აცხადებს, რომ ახლა არ შემიძლიან ქალაქის თავის თანამდებობა ვიკისროვო.

ფელტონი

არტანდიამ ართვინამდინ

მგზავრის შენიშვნები (მაგრძელება)

მზემ გვიღალატა. ბუროთ და მოედანი სუსხს, ცივს ქარს და ყინვას დარჩა. სიცივემ ძელებში გაგვიარა და უწყალოდ გვათროტოლა. მანუშორებელი მგზავრის ამხანაგი—ნაბადიც დაემორჩილა მასა. აქ სითბო ისე გინატრეთ, როგორც ახალი მოდის ქალი ტანცი-მანცის შემდეგ ინატრებს ცივს მაროქნას. ნახევარი საათი ვიარეთ თოვლზე. საწყალ ოსის ცხენებსაც კი გაუყვირდით ამ ნაირ ბუნების უფროდ ცვლილება. აგერ მზე! მოგვარა თოვლიან მთების კეთას. ბამოჩნდნენ რალაც ფანტასტიკური სახით იასამანის მთების თოვლიან ნაკვეთნი. მშვე ამ სოფლად ხალხი სუფევდა; მხოლოდ იმ მტკვრის შურვადამ გზავნიდა მასარ სხეივებს და აწითლებდა ნაქერ-ნაქერ ღრუბლებს. საამურს სანახავ სურათს ვხედავდით ამ სურათმა სიცივეც დაგვაიწყა და თოვლიც. ძალ-

ბაზეთი „მბზორი“ ამავე ამბის შესახებ გვაცნობებს, ვითომც უფ. შორლანოვის მეგობრები ტელეგრაფს ტელეგრაფში უგზავნიან იმას და სთხოვენ რამდენიმე თვით მაინც იკისროს ეს თანამდებობა.

ბუშინ გავიგონეთ ჩვენ, ვითომც უფ. შორლანოვი დათანხმებულიყოს, რომ ერთის წლის ვადით დარჩეს ქალაქის თავად და ამ წლის განმავლობაში ჯამაგირსაც არ აიღებოს.

ნეტავი ვიცოდეთ, თუ უფ. შორლანოვი არ დათანხმდა, რას იტყვიან მაშინ ის ხმოვანები, (განსაკუთრებით უფ. ი. შრიდონოვი), რომელთაც გამოაცხადეს ქალაქის რჩევის კრებაში 29 იანვარს, რომ ანტონ შორლანოვი თანახმა არის კენჭი იყაროს! მაშ ეს მასხარობა იყო, თუ რა?! მთელი ძრების სასაცილოდ აგდება ეს!

* * რუსულ გაზეთს „ბოლოსში“ დაბეჭდილია შემდეგ შენიშვნა ბათუმიდან მიღებული:

„ადგილობრივ მცხოვრებლებში ხშირად ისმის უკმაყოფილება ზოგიერთ ჩინოვნიკებზე და იმათ მოქმედებაზე. ჯერ არაფერი არ არის აქ წესიერად დადგენილი: გამოცხადებული იყო, მაგალი-

არ ვიცით საიდ, მხოლოდ იმას კი ვგვრძობთ, რომ სულ ძირს და ძირს ჩაეღვიართ. ორი ოცი უკან დამჩინენ, რომელიც მომდევნა, როგორც ბოლოს აღმოჩნდა. გზა არ იცოდა. ძარგად რომ ვშინჯე ადგილი, საცა ჩვენ მივიღოდით, შევატყე რომ გზა დაჭიკარავს.

— ლექსო, გზა რა იქმნა?
— რა იცო, სენი ჭირიმე! მეც ახალი ხარ, გზა არ იცო.

აქეთ ვეცით, იქეთ ვეცით—გზა რასად არის ამ ჯერად ჩემმა მერანმა როგორც ვერ მათრინა... ლექსო ხამი იყო, პირველჯერ იყო აქა, მაგრამ ისე ვივდებოდა გზასა, რომ გზის პოვნის იმედი მაინც მომეცა. მხოლოდ კისრის ტენის შიში გვეკრნდა. ამ დროს შემოგვესმა ძაღლების ხმა და გამოჩნდა შორით სინათლემ დაგვეხარა, მაგრამ გზა მაინც არსად არ იყო. მაშინ მე გადავწყვიტე წავსვლა, საცა სწინდა სინათლე. ლექსო დარჩა ცხენებთან.

ბევრი წვალების შემდეგ მიველი იმ ცუცსლთან. წარმოდგინეთ ჩემი გაჭირება, როცა ჩემ-და-საოცრად სოფლის მაგიერად დამხვდა მურთების ბანაკი! უკან წამოხვლა ვეღარ შევიძელ, ბანაკის



თად, რომ კვირაში სამჯერ ივლის ფორტა (გემი) შოთსა და ბათუმს შუა; მაგრამ ხშირად ათი დღეც ისე გაივლის ხოლმე, რომ ერთი ფორტაც არ მოდის და ამნაირად ქვეყანასთან კავშირი გაწყვეტილი გაქვს; ტელეგრაფი კადვე უფრო უარესაც არის გაპართული. ჩვენს ქალაქში გაიხნა რამდენიმე სანამუაო (საუნამუაო) სახლი, გაიხნა უანგარიშო სამკურნალოები. შკოლის განსწავლედ ჯერ ჰაჭანცი არ იშის. ძველი მსმალის შკოლები კი სულ დაკეტულა.

ამ მოკლე ხანში აქ მოპირებულ მოსამართლეს მოვლიან. იქედია, იმას ქართული ენა ეცოდინება, რადგან უამისოთ მმართლ-მსაჯულება აქ თითქმის შეუძლებელი იქნება იმისათვის!

* * ჩვენ შევიტყუეთ, რომ უფ. ბრ. ბექ. წინამძღვაროვისაგან 1853 წელს ნათარკმნი ბრიზოვოდოვის კომედია „პიკუსიანა“, მას შემდეგ თითქმის მთელი გამოცემა ნამესტნიკის ტიპოგრაფიაში წყობილა. ახლა, ამობენ, უფ. წინამძღვაროს ეს კომედია გამოაქვს ხენებულო სტამბილამ და გასასყიდლად ღარივებს წიგნის მალაზიებში.

* * უფ. ზ. შკანაძე გეთხოვს ჩვენ გამოცხადოთ შედგვი:

ჩვენ გაგვიგონია, რომ მიცვალებულთ. ალექსანდრე ჯამბაკურიან მრბელიანს დარჩენია რამდენიმე ხელთ ნაწერი ისტორიული მოთხრობები და სტატიები საქართველოს ცხოვრებიდან და აგრეთვე ერთი ისტორიული დრამა სახელიად „ღვით ალმანუხებილი.“

შორჩილესად ვსთხოვთ, ვისაც ეს ანუ სხვა რამ ნაწერები აქვს თ. ა. ჯამბაკურიან მრბელიანისა წარმოადგინოს „დროების“ რედაქციაში ანუ

უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მალაზაში, რადგან ამ ქაზად ხსენებული მწერლის თხზულებები იბეჭდება და ისინიც დაიბეჭდებიან.*

* * ჩვენ შევიტყუეთ, რომ უფ. ხელაძის სტამბაში იბეჭდება ერთი ძველი ქართული პოემა „სარიდონიანი“, რომლის ხელთ-ნაწერი მეთაისში აღმოჩენილა უფ. ჩარკვიანის სახლში.

* * ღაბა ხონილამ (მთუ. გუბ.) გვწერენ, რომ რამდენიმე წერილი გამოგზავნეთ თქვენს რედაქციაში დასაბეჭდათაო, მაგრამ, როგორც შევიტყუე, ეს წერილები აქვს გამქრალა საღლაც ჩვენს ფორტის კანტორაში.

* * ჩვენ შევიტყუეთ, რომ იმ ორ მენგრიელს, რომელთაც ყალიბები აქვთ ჩამოტანილი თუილისში, თიხის პატარა ძეგლებს (სტატუეტებს) აკეთებენ და ჰყიდიან, ამ მენგრიელებს განუზრახავთ, სხვათა შორის, რუსთველის სტატუეტისათვის ყალიბის ჩამოღება და ამნაირად რუსთველის სტატუეტების გაკეთება და გაყიდვა.

„დროების“ კორესპონდენცია

ზაქათალიღბან, 28 იანვარს. ჩვენში ამ ქაზად გაჩაღებული ქორწილებია; ეს განლაგეს აწმყო ჩვენი ყოველ დღიური საგანი საუბრისა და ჩვენი ერთადერთი გართობა და დროების გატარება. საიტყენაც არ წახვალთ სოფლებში, გინა იწვილოებისას, შარელებსას, შალთალებსას და ჩარჩი მჯიღებისას—ყოველგან ქორწილს ნახავთ თავის განუშორებელის ზურნით.

შარი ველარა ვსთქვი. შევედი კარავში. აკერ უბრალო და საყვარელი სახლი მთიული ქურთისა! აკერ საღვამი ბუნების შეილისა! შარალოდ მოქაოცელი ჭლობი ლერწმისაგან და ფარდაკებისაგან შესდგება იმისი საღვამის კედლები. მთელი საღვამი დამყარებულია ერთ სერტზე, რომელსდაც ჩამოკიდულია რაღაც უმგზავსი საგნები მოჭკარტული კოჭლისგან. ძარავის ერთ ხხარეს აგია ლოგინი და სულ ძარსათოკებზე ჰყიდია ბოვმის აკვანი. ჩემი ნანახი ახალგაზდა ქალი არ იქნება 15 წლისა, შეილის პატრონია. მეორე ხხარეს სხვა ლოგინი, საცა სთვლემს კაცზე მოხუცებული დედაკაცი 100 წ. მეტისა. ძარავის კართან ოთხ ქვზე დადებულ ფიცარზედ აწყვა სახლის მართულობა: ორი ქვაბი, ტაფა და წყლის სასმელი ჭურჭელი-მაშრაფა. ძარის მეორე გვერდით დევს ლოდი სტუპრის დასაჯდომათ. არც იმათი ტანსაცმელია მდიდარი. მძელი უნაოჭო ჩითის და შილას ყავთან, განიერო ტომარასავით კოჭებში შეკრული შალვარი, თავზე უბრალო ხელმანდილი—შეადგენს მურთის ქალის მართულობას. ზოგიერთი ყავთნის ზეილამ იცვამენ მოკლე

ბევი ქალი გათხოვდა, ვეცე დაქორწილდა, მაგრამ ამისთანა ქორწილის ხსენებაც არ გამოიგონია, რომელსაც ჩვენ დღეს ველირსეთ ამ ჩვენ მშვილათ მიყროვებულს ქალაქში. ეს კი უნდა იცოდეთ, ყოველგვარი მოულოდნელი შემთხვევის წამოტყორცნა აქაურებმა ხანდისხან იციან ხოლმე; ესეთია ზაქათლებების ხასიათი: საღაც საზოგადო ყრილობა იქნება ხოლმე, იქ მისი მეორე ძვა—სკანდალიც უნდა იყოს. მაგახლავს პირველი მიზეზი მისა, რომ ქალაქში აქამომდე ვერა სუფევს დიდხანს არც საზოგადო ბიბლიოთეკა და არც კლუბი.

აი რაში მდგომარეობს ეს მოულოდნელი შემთხვევა:

ამ ოც-და-ათის წლის წინეთ აქ ჩამოვიდა სხვათა შორის ერთი ჩარჩი მჯიღი ერთის შულო ძაფით თავის ძონძების დაგლეჯისამებრ ერთმანერთზედ მისაფერებლად, მომატყუარ არშინით და ორ აბაზ ფულით ხელში სავაჭროთ. ამ ქაზად ეს პირი ზაქათალაში უპირველესი მდიდარია; მას ეკუთვნის მეოთხედი ნაწილი ქალიქს მიწებისა და მრავალი შენობები. შარდა ამისა ყველა ბეგებზედ მომეტებული მიწებიც შეუძენია მახრამში. ნაღდ ფულებისა კი რა მოგახსენოთ,—ბოროტი ენები ამობოვენ, ვითომ მას იმდენი აქვსო, რამდენიც არის ამ ქალაქის ქუჩებში (განსაკუთრებით ბახრის) ტალახი და ლაფიო, ე. ი. აუარებელი.

ამან დღეს გაათხოვა თავისი ქალი მრავალის ზნითვეთ და ქრთამით; გარდა ამისა სიძემ მიიღო საჩუქრად რამდენიმე საღვამი სახლები.

ამის გამო დღეს იყო ერთი დიდი მბავი. მთელი ქალაქი იყო გაჩირაღდებული და ტალახი ქუჩებზედ ისე

ძაღლებმა შეიტყეს ჩემი იქ მისვლა და უკან გამომიდგებოდნენ და ანგარიშს მომთხოვდნენ. ბავბ დე—შეველი ბანაკში. უკანასკნელ ბანაკთან ერთო ცეცხლი, რაღაც იხარშებოდა. ცეცხლის შუქი საამოთ ანათებდა ახლო ქვაბთან მჯდომარე ახალგაზდა ქალს. რაცა ის ჰაერავდა ცეცხლს, იმისი სახე—შავგრიმანი და შავ-თვალ წარბა—ცხდათ სჩნდებოდა...

მთელი ახლო, მივეცი სალამი; ჩემდა სასხარულოდ, ჩემი სალამი მიიღო და არ გამეცქა, როგორც თათრის ქალებმა იციან. შლი გოაცდა და გაკვირვებით მკითხა—რა მინდოდა ისე უდროთ იმათ ბანაკში. მსთხოვე, ვინმე კაცი დამიძახოს. შევიდა კარავში და მოიხმო მოხუცებული მამა. ჰასომ თავი დამიკვრა და მოიხმო თავის საღვამში და მითხრა, რომ კაცები არაიან არის ბანაკში—ულ წასულან ცხერებთან. მსთხოვა დარჩენა იმ ღამეს იმასთან. მე უარი უთხარი.

— მაინც თბილი რამე მიირთვიოთ, ბატონო, როგორ შეიძლება ამ დროს მობრძანდით და პატივი არა გცეთ? მიცი რუსებს უყვართ რძე!

ჩახსავით კურტკას, მიკერილს აბრეშუმით.

ძაცების ტანისამოსს შეადგენენ: ქალამანი, შალის შალვარი, მოკლე ჩექმენი, ჩექმენის ქვეილამ ივლაგი უნაოჭო, სამოსელის პერანგი და რამდენიც შეგიძლიათ წარმოიდგინოთ დიდი ჩალმა ჭრელი იახმისა.

მდიდარი ღარიბისაგან განიჩიევა მით, რომ მდიდარს აცვია წითელი წაღები, წითელივე ჩექმენი, ვერცხლის ქამარი მოკატული ხლმით, ჩალმაზე ახვევია ვალა.

ლ. მ. ზა. ლეილამ შემომიტანა რძე, სიამოვნებით შევხვრიტე და გამოვეშვიდობე ბედნიერ აღამიანებს. გამომაყოლეს გზას საჩვენებლად ათი წლის ყმაწვილი. სასაცილო იყო, როგორ ფხშიშველა და თავლია ბნელაში პატარა ქურთი წინ გამოარბოდა!

სანამ პატარა ქურთი გზამდის მომიყვანდა, შემომესმა:

— მანა ჭნდაკ ხარზა, ბატონო*! ჰყვიროდა ლეკო. მზა ეპოვა და სიხარულით დაჰვიწყებოდა, რომ მე ოსური

*) აგეო, ბატონო, კარგი გზა!

უსხო ქვეყნები

საზრუნავი

ბრწყინავედა, როგორც ვერცხლი მზის შუქზედ. შუშუნებისა რაღა თქვა უნდა—რიცხვი არ იყო. მთლად მოქალაქენი დიდის კმაყოფილებით ლაღობდნენ...

მახშმის შემდეგ, რადგან არავითარი მუსიკა არ იშოგებოდა და არც ტანცაობა უიძღვებოდა, ამის გამო სტუმრებმა მოიგონეს „რეზების“ გამოთქმით დროების გატარება და მასთანვე დასდევს პირობა, რომ არაინ მიიღოს საწყენათ, თუ ვინმემ რამე „ისეთი“ წარმოსთქვას.

პრცერტი სტუმართაგანი არ ზოგავდა თავის მჭევრმეტყველებას, ცოტაც შეზარხო შებუღონი ნუნუას ორთქლით; ყველა სცდილობდა, რომ თავის სიტყვამ უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინოს. ბევრმა ისურვა ახალ დაქორწინებულებისთვის „ბედნიერება“, „ტკბილად დაბერება“, „უკანასკნელს დღემდისინ სიმდიდრეში გასურვა წიაღსა შინა აბრაამისასა“ და სხვა. მაგრამ ამასობაში ერთმა მობეჭტულად გადაყლუნჭვილმა ძალიან გადაამეტა. აი ამის სიტყვა დახსლოვებით:

„მეფე-დედოფალო, მომილოცნია თქვენთვის თავისუფალი და სიმდიდრით შემკული ბედნიერება მომავალს ცხოვრებაში! თქვენ მიიღეთ დიდი სიმდიდრე.“

„მაგრამ ესეც კი უნდა იცოდეთ, ყოველი საკუთრების ყადრი (დაფასება) მაშინ შეგიძლიანთ, როცა იცით, თუ რა შრომა უძღვნიდა ამ სიმდიდრის შეძენას და ან რა გზით არის იგი შეძენილი, რომლის მფლობელნიც თქვენ გახდით. სახლის პატრონს, როგორც ყოველს მომაკვდავს ვაჭარს, მამაპაპისგან ხაზინები არა ჰქონდა დაშთენილი.“

„მართი კაცი, რაც უნდა კეთილ-სვინილისიანათ მშრომელი იყოს, ამდენს სიმდიდრეს ვერ შეიძენდა. სიმდიდრე

და სვინილისი საუკუნოდ გადაკიდებულნი მტრები არიან. აპიტომაც იცოდეთ, ყოველი მანეთი შემძენს აუარებელ წყველა-კრულვად დასჯდომია მოტყუებულ გლეხისაგან და სხვა მყიდველისგან.“

„თითქმის ყოველი მანეთი, რომლებსაც დღეს თქვენ ქეიშასავით ფანტავდით, ცუდ-უბრალოთ გამოტყუებით მონაგარია და ეგ არა ერთხელ ყოფილა მიზნებით გაშხამებისა მუშის ლუკმა-პურისა ოჯახობითურთ რამდენიმე დღის განმავლობაში, აუტირებია მისი ცოლი და წერილ-ფება შეილები, უმიწა-წყლოთ დატოვილი.“

„ბევრჯერ მაგ სიმღარის შესადგენათ გაყიდულა უთვალავი თოფები და მძალ ჩითებისა, აყროლებული თევზი და ჩამატული ყველი და ბევრი ამ-გვარი უეარგისობა ნაღირსხედ ორ-სამ ფას მეტად. ბევრჯერ მაგის შეძენის გულისთვის მოვალეებზედ ნისია ორად და სამად მეტი მიწერილია.“

„თქვენ ახლად მოქალაქეების ასპარეზზედ ასულნო! იცოდეთ, რომ ამ წუთას იქნება ისინი, რომლების პირიდგან დაგიძვრიათ ლუკმა-პური, ისენი შიმშილ-სიცვისაგან საცოდავ ვაი-ვაგლახში არიან; თქვენ კი ქეიფოფთ და არახუნებთ დიშპლიპიტოს!“

„ზახსოვდესთ, რომ ამ სიმდიდრის შემძენს ერთის შულო ძაფის მეტი არა ჰქონდა-რა, მაგრამ შეიძინა პატრონან, უხერხო და ყოვლის მომთმინე ხალხისგან ესრეთი სიმდიდრე, რომ თქვენც აწ გახდით 25.000 მანეთის მფლობელი. ღკერთმან ხელი მოგიმართოსთ! იცხოვრეთ ბედნიერათ, და ღარიბ ხალხსა და სვინილისსაც ნუ დაივიწყებთ!...“

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, ეს სიტყვა რა შთაბეჭდილებას მოიხდენდა იმ საზოგადოებაში...
სოფლიაშვილი

ახალი პრეზიდენტის (ბრევის) არჩევის გამო ბელგიური გაზეთი—„ბელგიის დამოუკიდებლობა“ ამბობს:

„ღირს-სახსოვარი დღეა: გუშინდელი დღე (18 იანვარი) არა-თუ მარტო საფრანგეთისათვის. უწესოებას, არეულობას, ხალხის დღევას მოელოდნენ. არ გამართლდა კლერიკალების მოლოდინი. საქმე მშვიდობიანად, წყნარად გადაწყდა. მართმა რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიატოვა ადგილი, მეორემ დაიჭირა, კონსტიტუციის ძალით.“

„გუშინდელი საქმე არის 5 იანვრის კენჭის-ყრის (სენატორების არჩევანის) შედეგი. შევლანი მოელოდნენ ამას. ბრევის ამორჩევამ საუკუნოთ მოულო ბოლო ერთის კაცის თვით-მნებელობას, კლერიკალების გაიძევრობას და ბონაპარტისტების აფაზაკურ მოქმედებას. რესპუბლიკა დამკვიდრდა. ეს გადაწყვეტილი საქმეა, იმას აღარაფრის შიში აღარა აქვს ახლა.“

„ახლა ჩამოვარდება სრული გარმონია, თანხმობა და კეთილი განწყობილება ყველა უფლებას შუა. ნაციონალური ძრება, სენატი, სამინისტრო და რესპუბლიკის პრეზიდენტი — ყველანი ერთად, თანხმობით იმოქმედებენ, იზრუნავენ რესპუბლიკის მკვიდრად დამყარებისა და კონსტიტუციის ბეჯითად აღსრულებისათვის. საფრანგეთი და იმასთან შერობაც მოისვენებს...“

— როგორც ამას წინათაც მოვიხსენეთ, თითქმის ყველა სახელმწიფოებმა თანაგრძნობით მიიღება შულ ბრევის ამორჩევა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად, გარდა ბერმანიისა. ბერმანიას რაღაც თითქო ეშინიან; ნემეცუ-

არ ვიცოდი. მეც გამეხარდა. მიველი ლეკოსთან. პატარა ქუთით დაიკარგა ღამის სიბნელეში, შინ დაბრუნდა. ბნელაში ძლივს ვარჩევდით გზასა. ჩვენ ვერას ვხედავდით, მაგრამ საწყალი ფეხები კი კარგათ გრძნობდნენ, გზა საშინელა ქვიანი იყო.

მიველით სოფ ხევა; ბნელაში კარგ სოფლად გვეჩვენა. ჯერ ყველგან სანთლები ენთო. რომელ სანთთანაც მიველით და ჩვენი „ურუსული“ ხმა გავაგონეთ, ყოველგან გააქრეს სანთლები. მტყობა ჩვენ საბითებს (ჩანოენიკებ) ძრიელ შეუყვარებიათ თივი! როგორც იყო ბოლოს ჩავიგდე ხელში ერთი ახალგაზდა თათარი, რომელმაც მიმიყვანა მესთართან (მამასახლისთან.) იმის გამოყვანისთვის დაგვჭრდა ნახევარი საათი. შეგვიყვანეს ოღაში.

აქ ოღა (სახლი) იმნაირი არა სცოდნიათ, როგორც პრტანის მახრაში; ამათი ოღები მდაბალია, ცალკე დგას ბოსლისგან; სცოდნიათ ამათ ოთახები მდაბალი და ორ სართულიანი, ხისა.

მთახში დამხედნენ სხვა სტუმრებიც

თათრები. მისთანაც მიმეყვანეს, ეტყობოდა იყო მდიდარი, რადგან ყველანი აღას უძახდნენ. თათრები ქითაბ ნაკითხებს აღიდებენ—ეჭანდით, მდიდარ—აღათი. მართლია, არ სცივოდა, მაგრამ მაინც ბუხარი დაუზოგავად დატვირთეს. ბუხარმა იწყო მხიარულად გრიალი. საღირემის წინ აქლემებივით დჩოქილთათრებმა იწყეს შუსაიფი. ბუხრის წინა ქვაზე ეწერა თათრულად:

მამხიარული, ბუხარო,
„რომ სტუმარმაც იმხიარულოს!“

მუსაიფი და ლაპარაკი ათასფერი იყო: ქირანახულზე, საქონელზე, ხარკამეჩებზე და ხანდისხანაც წინ მოვიდოდნენ ხოლმე-აღმოსავლეთური მშრალი „პოლიტიკები“.

— მკი ვათავდა, არა? საზღერები არ განწყესდა აჭენდიჯან? მკითხა სახლის პატრონმა.

მე ორივე კითხვას „ჰო“ უთხარი.
— როგორ არის, სულთან-ალა, (კოსამსახურე მოხელეს-სულთანს უძხიან), წასელის ნება მოგვეცემა, თუ არა?

— არა, არ მოგვეცემათ ნება, უპასუხე (უნდა აღვიაროთ არ ვიცოდი.) რად გინდათ, განა არა გსურსთ აქ დარჩენა?

— არა! მიზასუხა ისევე იაყუბამ და წვერზე ხელი მოიხვა, გვეგონება იმას ნიშნავდა: მიზეზი ამან გითხრასო.

— მიზეზი რა არის, იაყუფ-ალა, რომ მაგრე გვერიდებით?

— სწორედ უნდა მოგახსენოთ, ღმერთმან იცის, რომ ჩვენ გავრბოდით ჩვენ მოქრთამე საბითებსა, მაგრამ ვერ გავეკეცით! როგორც ეტყობა ალანის ნება ასე ყოფილა: იანი თუ ხუთ ყურუშს გვართმევდნენ, ახლა ასი ყურუშით ვერა ვრჩებით.

— არა მგონია, ეგ ჩვენ ქითაბში არა სწერია. იქნება, იაყუფ-ალა, ეგ შეცდომა იყოს?

— სულაც არა. შოველაფერს გაუძლებთ, მაგრამ წკვპლს კი ვერა, ჩემო აზიზო.

— როგორ თუ წკვპლს?

ს. ბაერელი
პრდნუჯი, 10 დეკემბერი.

